ოქმი N11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 8 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 20 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზაზა ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზაზა ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი).

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - გამომსვლელი დაინტერესდა, განკარგულების პროექტში აღნიშნული ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნის სამუშაოების ჩატარება, რა სამუშაოებს ითვალისწინებს?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ეს არის გარდამავალი სამუშაოები, რომელიც უკვე მიმდინარეობს და შეეხება ქალაქ ხობის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციას, რომლის პირველი ეტაპი დამთავრებულია და ამჟამად მიმდინარეობს მეორე ეტაპის სამუშაოები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით მომზადებული წინადადებები საკრებულოს მიერ მოწონებულ იქნა 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებით. ამ ეტაპზე წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ცვლილებები შედის საკრებულოს N64 განკარგულებაში და რეგიონებში განსახორციელებელ პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ობიექტების ნუსხას ემატება კიდევ ორი ობიექტი: შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის ქსელის მოწყობისა და ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ

წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ფ. შონია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N22 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 8 ივნისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. ნუგზარ შუშანია
8. ლევან ქავთარაძე
9. თენგიზ აბაკელია
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა
12. ედიშერ წურწუმია
13. მერაბ ფილიპია
14. შადიმან ჭილაია
15. კახა მიქაბერიძე
16. მალხაზ ყურუა
17. ფრიდონ შონია
18. მელორ გელანტია
19. გენადი ზარანდია
20. მზია ლემონჯარია